ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და

ქვეპროგრამების შესახებ (იანვარი - დეკემბერი 2025)

სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 2304
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:
ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა, 2304

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 204577813

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
2304	პროგრამა: ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	10,100.00	10,100.00	10,041.3	99.42 %	7,826.0

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- **eBudget ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა** - სსიპებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემისთვის დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2025 წლისათვის; eBudget სისტემისთვის დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2025-2026 სამუშაო პერიოდისთვის; გაკეთდა შემოსავლების დაზუსტებული გეგმის ახალი ანგარიშგების დოკუმენტი; კონსოლიდირების მოდულისთვის გაკეთდა ნაშთების ანგარიშგების დოკუმენტი; დაიხვეწა შემოსავლების ანგარიშგების დოკუმენტი ადმინისტრირების მოდულში; ჩატარდა ინტენსიური სამუშაოები 2026 წლის ბიუჯეტის პირველი წარდგენის შესაქმნელად და ასევე 2025 წლის კანონში ცვლილების განსახორციელებლად; პროგრამულ ბიუჯეტში დაემატა კლიმატის ცვლილების სპეციალური ფორმები. სისტემაში განხორციელდა 24 შესწორება და აღმოიფხრვა 4 ხარვეზი.

- **eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა** - დაემატა ორგანიზაციების მოთხოვნების ველების შევსების სისწორეს ხელოვნური ინტელექტის მოდულის მიერ შემოწმება მოთხოვნების ხაზინაში გაგზავნის დროს და ხაზინის პორტალის მოთხოვნების მოდულში ხელოვნური ინტელექტის მიერ შემოწმების სტატუსების (რისკების) ასახვა; სისტემას დაემატა ღია პაკეტების ავტომატური დახურვის ფუნქციონალი, სუბსიდიების ჩარიცხვის პროცესის კონტროლი,მიზნობრივი გრანტების განსაზღვრის მონაცემების იმპორტი,დეპოზიტორების არასტანდარტული განსაზღვრის პროცესის მართვის საშუალება;საერთაშორისო გადარიცხვების სისტემის SWIFT-ის მოთხოვნების საფუძველზე განხორციელდა საკომუნიკაციო პროგრამის ავტოკლიენტის ვერსიის განახლება; კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად საპენსიო სისტემის ადმინისტრირების მოდულიდან ამოღებული იყო დასაქმებულის საპენსიო ფონდში ნებაყოფლობითი გაწევრიანების მოთხოვნის გაგზავნის საშუალება, შეიცვალა უწყისების გენერირების შაბლონები და დაემატა ახალი ანგარიშგება „თანამშრომლების საპენსიო შენატანები";დაემატა ელექტრონული სერვისის მეშვეობით სახელმწიფო ვალების მართვის სისტემიდან სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების საემისიო და მომსახურების კალენდრების მონაცემების მიღების საშუალება შემდგომ ამ მონაცემების რეპორტებში გამოყენებისათვის; დაემატა ელექტრონული სერვისების მეშვეობით ხაზინის მომსახურებაზე მყოფ განმკარგავ ორგანიზაციებში დასაქმებული პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საშუალება და შემოსავლების სამსახურისთვის დეკლარაციების მართვის პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება; Power BI სისტემას დაემატა შემოსავლების და ხარჯების პროგნოზების და ანალაზის რეპორტები ხაზინის შემოსავლების-ხარჯების პროგნოზების და ანალიზის, შემოსავლების და ხაჯრების ისტორიული მომაცემების, საშიანო და საგარე ვალის რეპორტები დღეების და თვეების მიხედვით; დაიხვეწა მწვანე დერეფნის, პრემია-დანამატის გაცემის, პირდაპირი ჩარიცხვების, სსიპ/ა(ა)იპ/სახელმწიფო საწარმოების ოპერაციებისა გაურკვეველ კოდზე ჩარიცხული სავალუტო თანხების განსაზღვრის პროცესი, სახელმწიფო საწარმოების მონაცემების დათვალიერების და დამუშავების პროცესები და ბუღალტერიის მოდულების ფუნქციონალები; მოთხოვნების, ვალდებულებების, სავალუტო მოთხოვნების, პაკეტებისა და არასახელფასო პაკეტების, SWIFT-ის ჩარიცხვების და მულტისავალუტო ანგარიშების მოდულებს დაემატა ახალი ველები, ვალიდაციები და საბეჭდი ფორმები, დაემატა ანგარიშგებები „გადარიცხული საგადახდო მოთხოვნები (ყველა ორგანიზაცია)", „სახაზინო კოდების ნაშთები", ანგარიშგებას „თანადაფინანსება და კრედიტები (E12)" კი დაემატა არსებული კლასიფიკაციის მუხლების დეტალური ჩაშლები; ხაზინის ელექტრონულ სერვისებს დაემატა ახალი მომხმარებლები.

- **eDMS სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა** - სისტემაში ცვლილება შევიდა ფუნდამენტური ცვლილებები საშინაო ვალის უმეტეს და ზოგიერთ საგარეო ვალის ანგარიშგების დოკუმენტებში; საშინაო ვალის მე-2 და მე-6 ანგარიშგების დოკუმენტებში ჩაემატა ფასიანი ქაღალდის ნაშთის დარიცხვის მეთოდით დათვლა; გაკეთდა 2 ახალი ვებ სერვისი ხაზინის warehouse - ისთვის. დაემატა ახალი ტიპები ჩამორიცხვების მოდულში; საშინაო ვალის ფუნქციონალში შევიდა დიდი ცვლილებები - სისტემა გადავიდა საკასოდან დარიცხვის მეთოდზე და რეალურ გარემოში გაეშვა გამოსყიდვებისა და გაცვლების ახალი ფუნქციონალი. სისტემაში შევიდა 179 შესწორება.

- **eHRMS ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა** - სისტემაში თანამდებობის დამატების/ცვლილების ფორმაზე, პროფესიული საჯარო მოხელის ტიპის განსაზღვრისას დაემატა ახალი ფუნქციონალი, შესაბამისი ლოგიკითა და ვალიდაციებით, რომელიც ასახავს თანამდებობის ტიპის ცვლილებების ისტორიას.

შეიცვალა ყველა იმ არსებული ანგარიშგების ლოგიკა, სადაც არსებობდა თანამდებობის ტიპის ცნება. განახლდა მივლინების ფუნქციონალის არსებული ლოგიკა.

განახლდა და დაიხვეწა სისტემის სრული ელექტრონული სახელმძღვანელო, სადაც დამატებულია ახალი ფუნქციონალების აღწერები და შესაბამისი ილუსტრაციები, ასევე განახლდა დაშვება/გაუქმების და ორგანიზაციის დამატების მართვის პროცედურების დოკუმენტები.

პროფესიული განვითარების მოდულის ფარგლებში განხორციელდა დამატებითი მოთხოვნების რეალიზება, კერძოდ დაემატა შედეგიანობის შეფასების ფუნქციონალი. აღნიშნული ცვილიებების შედეგად ასევე განახლდა პროფესიული განვითარების შესახებ არსებული სტატისტიკური ანგარშგებების ლოგიკა. დამატებით განახლდა Moodle-ის სისტემასთან ინტეგრაციის ტექნიკური სამუშაოები. დამატებით, მიმდინარეობს ახალი მოთხოვნებისა და შემთხვევების იდენტიფიცირება და მათი ტექნიკური გადაწყვეტის სამუშაოები.

- **eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა -** განისაზღვრა 2025 წლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები.

შესრულდა 2021 - 2022 წლის ლოგების ჯურნალების მონაცემების გასუფთავება და 2022 წლის ფაილების არქივაციის / NAS (QNAP) საცავში გადატანა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოთხოვნით, შესრულდა დოკუმენტების კვალიფიციური შტამპით დადასტურების ავტომატიზაციის ტექნიკური დავალების დოკუმენტის შემუშავება, დასრულდა ამოცანის პირველი ეტაპის ტექნიკური რეალიზაციის პროცესი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მეთოდოლოგიის დეპარტამენტის მოთხოვნით, მიმდინარეობს eDocument სისტემაში საკონსულტაციო წერილების მომზადების ამოცანის შესწავლა.

სისტემაში განხორციელდა საქაღალდის ძირითადი დოკუმენტის ატვირთვის ფორმატის და წაშლის შეზღუდვა, ასევე შტამპით დამოწმების პროცესის ავტომატიზაცია,

საქართველოს საარჩევნო კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, მიმდინარეობს საქართველოს საარჩევნო კომისიის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების აუდიტის შედეგების ანალიზი eDocument სისტემის ჭრილში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოთხოვნით, შესრულდა ‘დოკუმენტების კვალიფიციური შტამპით დადასტურების ავტომატიზაციის' ტექნიკური დოკუმენტის შემუშავება. ასევე დასრულდა ამავე ამოცანის განხორცილელების პირველი ეტაპის ტექნიკური სამუშაოები.

დასრულებულია 'ელ. ფოსტის კომპონენტის დამატების' ამოცანა, რომელიც რეალიზდა უკვე არსებულ სერვისში, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოთხოვნით.

დასრულებულია 'რეზოლუციით გადაწერილი და წაშლილი ადრესატების იდენტიფიცირების' ამოცანა, რომელიც განხორციელდა სემეკის - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიის მოთხოვნით.

საქართველოს საარჩევნო კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, ასევე დასრულდა მუშაობა 'მომხმარებლების ლოგირების ფუქნციონალზე'.
ასევე დასრულებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოთხოვნით, სმს ის ბმულზე დანართების გაგზავნის ფუნქციონალის რეალიზაცია.

- **eAuction ელექტრონული აუქციონი** - ელექტრონული აუქციონის სისტემაში განხორციელდა 29 ფუნქციონალური ელემენტის ოპტიმიზაცია. გაუმჯობესდა და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის 23 კომპონენტი. სისტემაში დაგენერირდა ერთჯერადი ანგარიშგების სხვადასხვა ფორმა.
რეალურ გარემოში განთავსდა ნარჩენების ქვეკატეგორიების პირობის გაცნობა/დათანხმების ფუნქციონალი.
რეალურ გარემოში განთავსდა ავტომატური სმს შეტყობინების გაგზავნის ფუნქციონალი, აუქციონში გამარჯვებულ პირთან, კატეგორიისა და ქვეკატეგორიების მიხედვით.
რეალურ გარემოში განთავსდა ახალი ტიპის ანგარიშგების - „გადახდების დეტალური რეპორტი“ დამატებასთან დაკავშირებით, რათა სისტემის უფლებამოსილმა პირმა შეძლოს, გადახდის ტიპებისა და თარიღების/დროის მიხედვით ინფორმაციის დაგენერირება და excel -ში გადატანა.
რეალურ გარემოში რეგისტრაციის გვერდზე მოხდა CAPTCHA კოდის რეფრეშის რეალიზაცია;
რეალურ გარემოში განთავსდა ახალი ანგარიშგება - პრერეგისტრაციის მცდელობების რეესტრის გვერდი აქტივაციის კოდებით - რომელსაც სააგენტოს თანამშრომლები გამოიყენებენ მომხმარებლებისთვის რეგისტრაციის პროცესში მხარდაჭერისთვის.
აგრეთვე რეალურ გარემოში მოხდა ვებ გვერდზე ავტორიზაციის ფაქტორის ტიპის გატანა კონფიგურაციაში: მეილით, სმს კოდით, მეილით და სმს კოდით, კოდის გარეშე, ავტორიზაციის რეალიზაცია;
რეალურ გარემოში ადმინისტრირების ნაწილში განთავსდა ავტორიზაციის ფაქტორის ტიპის გატანა კონფიგურაციაში: მეილით, სმს კოდით, კოდის გარეშე, ავტორიზაციის რეალიზაცია;
მოხდა რეგისტრაციის ბიზნეს პროცესის ცვლილება - სმს კოდის გაგზავნა მეილის აქტივაციის შემდეგ და კოდის გაგზავნის რაოდენობის ლიმიტირება (1 მცდელობა).
სატესტო რეჟიმში მიმდინარეობს აღსრულების ეროვნული ბიუროს სერვისის ცვლილების სამუშაოები, რაც გულისხმობს მისამართების ცვლილებას NAPR-იდან DGA-ზე, აგრეთვე მოხდა პროტოკოლის ცვლილება.
რეალურ გარემოში განთავსდა Liberty ბანკის ელექტრონული კომერციის სერვისის ახალი ვერსია დიდი ოდენობით გაგზავნილი მოთხოვნების აღმოფხვრის მიზნით.
აგრეთვე რეალურ გარემოში განთავსდა ლიბერთი ბანკის სერვისში არსებული ცვლილება, სისტემას დაემატა ტრანზაქციების სტატუსების ლოგირების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს თითოეული ფინანსური ოპერაციის სტატუსის დეტალურ აღრიცხვასა და კონტროლს.
კონფიდენციალურობის პოლიტიკის გატარების კუთხით, ხელახლა შესრულდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესაბამისი პოლიტიკის გატარება ვებგვერდზე;

მხარდაჭერა, ტრენინგი, სემინარი და კონსულტაცია

მომართვათა საერთო რაოდენობა - 47185

გაწეულია 44358 სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument -18177, eTreasury - 23001 სხვა სისტემები - 3180.
ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი მოემსახურა 2827 ტექნიკური გამოძახებას და გასწია შესაბამისი მომსახურება.

eTreasury სისტემის სასწავლო კურსი ჩაუტარდა ან სწავლებას გაეწია მხარდაჭერა 3054 მომხმარებელს.

- **ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა** განახლდა VMware პროდუქტების მიმდინარე კრიტიკული მოწყვლადობები.

ცენტრალურ NG ბრენდმაუერზე განხორციელდა ორმაგი აუთენთიფიკაციის მექანიზმისა და LDAP-over-SSL უსაფრთხო კომუნიკაციის პროტოკოლის დანერგვა მოწყობილობაზე ადმინისტრირების პროცესების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
დაკონფიგურდა სერვერებზე ახალი ვერსის IIS აგენტები SIEM სისტემასთან ინტეგრაციის მიზნით, ლოგების ცენტრალიზებული შეგროვებისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.
განხორციელდა მეილ სერვერის განახლება და მიგრაცია არსებული Exchange Server 2019 გარემოდან ახალ Exchange Server SE პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს სისტემის ფუნქციურობის, უსაფრთხოების და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.
დაინსტალირდა (SMPP) SMS-ების გაგზავნის სერვერი და განხორციელდა ორი სხვადასხვა GSM ოპერატორის არხის კონფიგურაცია, რაც უზრუნველყოფს მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის ალტერნატიულ მარშრუტებს.
შესრულდა VMware NSX-ის ინსტალაცია და კონფიგურაცია დამატებით ინტეგრირებულ კლასტერებზე, ქსელური ინფრასტრუქტურის მიკრო-სეგმენტაციის უზრუნველყოფისათვის.

eAIMS - საერთაშორისო დახმარებების მართვის სისტემა

სისტემაში დღეის მდგომარეობით აღრიცხულია სულ 3704 პროექტი, აქედან 351 მიმდინარე პროექტია. სისტემის უსაფთხოების გაძლიერების მიზნით მოხდა აპლიკაციაში გამოყენებული ბიბლიოთეკების განახლება, მათი დატესტვა და პროდაქშენ სისტემის განახლება. სისტემის გაუმჯობესების მიზნით შექმნილია დავალებები, დაგეგმილია მათი შესრულება. მხარდაჭერილია სისტემის განვითარება.

eVIMS - ავტომანქანების ხარჯების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა

სისტემაში ავტომანქანების რაოდენობა სულ შეადგენს 1 487 ერთეულ ავტომანქანას.

სისტემის განვითარების მიზნით ჩატარდა მრავალი სამუშაოები, კერძოდ: მოხდა მონაცემების შეგროვება,შესწავლა,დამუშავება. აღმოიფხვრა კრიტიკულათ მნიშვნელოვანი საკითხები (bugs).

სისტემაში არსებულ მთავარ ფილტრებში დაემატა დამატებითი ფილტრაციის საშუალება,
აგრეთვე ჩანართებში მოხდა დამატებითი მონაცემებით ფილტრაციის დამატება.

ადმინისტრირებაში დაემატა შეტყობინებების მართვის სხვადასხვა ახალი ტიპი.სერვისების მოდულში დაემატა განმეორებითი ვიზიტი ნულოვანი ღირებულების.

ავტომობილების ბარათს დაემატა პასუხისმგებელი პირის მართვის შესაძლებლობა.

სისტემაში მოხდა ვალიდაციის დამატება კერძოდ: მომხმარებლებს არ შეეძლოთ ორი იდენტური ავტომობილის დამატება.

ცლვილებები ასახულია პროდაქშენ გარემოში, მიმდინარეობს სისტემის განვითარება და მხარდაჭერა.

ადამიანური რესურსების მართვა

საანგარიშო პერიოდში საშტატო თანამდებობაზე (კარიერული განვითარება) დაინიშნა 3 (სამი) პირი.
შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა 39 (ოცდაცხრამეტი) პირს.
პრაქტიკანტად დაინიშნა 3 (სამი) პირი.
სტაჟიორად დაინიშნა 5 (ხუთი) პირი.

eTRMMS - მერქნული რესურსების მართვისა და მონიტორინგის სისტემა

Timber - ტყეკაფის რეგისტრაციის მოდული

1. ტყეკაფის რეგისტრაციის მოდულში, გასაუქმებელი ტყეკაფების იდენტიფიკაციის მიზნით დაემატა შესაბამისი ლოგიკა და ნიშნული მთავარ რეესტრში.
2. მიმდინარეობს ელექტრონული წარმოშობის დოკუმენტის აპლიკაციის ტექნიკური დავალების შემუშავება.
3. მერქნული რესურსების სისტემის ანგარიშგებები გადაეწყო მომხმარებლებისა და უფლებების ერთიანი ელექტრონული სისტემა ePassport-ის დინამიურ უფლებებზე, გაიმიჯნა მომხმარებელთა დაშვებების დონეები უწყებების მიხედვით. მიმდინარეობს ტესტირება.
4. მიმდინარეობს სამუშაოები სამოქალაქო რეესტირდან სერვისით მონაცემების მიღების ნაწილში ორკომპონენტიანი ძებნის (მონაცემების გამოძახება პირადი ნომერი+გვარი) მოთხოვნის შესაბამისად ცვლილებების შეტანის მიზნით.

BY - „საქმიანი ეზოს“ მოდულისთვის:

5. „საქმიანი ეზოს“ მოდულის ანგარიშგებები (4 ანგარიშგება) გადაეწყო მომხმარებლებისა და უფლებების ერთიანი ელექტრონული სისტემა ePassport-ის დინამიურ უფლებებზე, გაიმიჯნა მომხმარებელთა დაშვებების დონეები რეგიონებისა და საქმიანი ეზოების მიხედვით.
6. „დანაკარგის“ მოდულში რეალიზდა გადაუხარისხებელი მორის ჩამოწერის ლოგიკა;

7. მთლიან მოდულში ჩატარდა რეფაქტორინგი - ანგარიშგებებში, ცხრილებში, გამოთვლებში ათწილადების დამრგვალების სტანდარტიზება მოხდა;
8. POS ტერმინალების ინტეგრაციის ამოცანიდან გამომდინარე, ცვლილებები შევიდა სარგებლობის ბილეთის ფორმაზე - დაემატა გადამხდელის ინფორმაცია;
9. ხე-ტყით სარგებლობის ბილეთის გადახდისთვის გამოყენებული არაინტეგრირებული ტერმინალების ინტეგრირებული POS ტერმინალებით ჩანაცვლების მიზნით კოდინგის სამუშაოები კერძოდ: სატესტო რეჟიმში დაინტეგრირდა POS ტერმინალი სატესტო გარემოსთან (შეიქმნა შესაბამისი კოდი).
10. POS ტერმინალების ინტეგრაციისათვის შეიქმნა Windows აპლიკაცია და შესაბამისი სერვისი (რომელიც უკავშირდება სისტემასა და ტერმინალს, აპლიკაციას გადასცემს ხე-ტყით სარგებლობის ბილეთის საფასურს და ასახავს გადახდის ინფორმაციას სისტემაში).
11. POS ტერმინალები დაინტეგრირდა რეალურ გარემოში.
12. „სპეც დანიშნულების სარგებლობის დოკუმენტი ანგარიშში" და "დახარისხების ინფორმაციის" ანგარიშგებაში განხორციელდა ცვლილება - დაემატა მონაცემების ფილტრაციის სხვადასხვა დამატებითი პარამეტრები.
13. გატანის მოდულში დაემატა ახალი ფუნქცია და შესაბამისი უფლება - „გატანის ნიშნულის მოხსნა“, განისაზღვრა შესაბამისი დაშვებები მომხმარებლებზე.

eRMS - მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემა

1. შეიქმნა „რეციკლირების“ მოდული.
2. შეიქმნა „შეგროვების ჟურნალის“ მოდული.
3. 7 ცვლილება შევიდა სისტემაში, ცვლილების მოთხოვნის შესაბამისად.

Inspection - ინსპექტირების მართვის ელექტრონული სისტემა

1. ჩატარდა ანალიტიკური სამუშაოები და ინსპექტირების მოდულის განვითარების მიზნით, ასევე, ბაზაინსპექტორის მონაცემების მიგრაციის საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნა ცვლილებების პაკეტი, რომელიც მოიცავს 35 ცვლილებას.
2. 35 მოთხოვნა რეალიზდა სისტემაში.
3. მიმდინარეობს სტაბილიზაციის პროცესი.
4. მიმდინარეობს ბაზაინსპექტორის მონაცემების მიგრაციის სკრიპტების მომზადება.

FIMS - ტყის ინვენტარიზაციის და 10 წლიანი მართვის გეგმის სისტემა:

1. მიღებული და რეალიზებულია 29 მოთხოვნა, ყველა რეალიზებულია.
2. რეგისტრირდა და აღმოიფხვრა 86 ბაგი.

რეფაქტორინგი

1. დასრულდა რეფაქტორინგის მიზნით გადაწერის სამუშაოები - ყველა მოდული გადაწერილია.
2. მიმდინარეობს ვერსიის სტაბილიზაცია.

eAir - სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვისა და მონიტორინგის სისტემა:

- 250 ობიექტმა წარმოადგინა სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიშგება 2025 წლისთვის.

eWater - წყალსარგებლობის სახელმწიფო აღრიცხვის სისტემა:

- წყალსარგებლობის სახელმწიფო აღრიცხვის ფორმაზე განხორციელდა ცვლილებები, სულ 6.
- შეიცვალა წყლის კლასიფიკატორები: ახალი მოთხვონის შესაბამისად, კლასიფიკატორი ქვეაუზი ჩაიშალა დამატებით 2 დონეზე. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა სისტემის ყველა ფორმასა და ანგარიშგებაში.
- 9 ობიექტმა წარმოადგინა წყალსარგებლობის წლიური ანგარიშგება 2025 წლისთვის;

მხარდაჭერა

საანგარიშო პერიოდში:

- სულ მიღებული და დამუშავებულია: 698 Issue;
- სულ მიღებულია 181 hotfix, აღმოფხვრილია: 176, მიმდინარე: 5;
- სტაბილიზაციის ფარგლებში რეგისტრირებულია 183 ბაგი, აღმოფხვრილია: 164 ბაგი, მიმდინარე: 19;
- მიღებულია 227 დავალება, რეალიზებულია 124, მიმდინარე - 3.

ვებგვერდი, პორტალი

ანგარიშგების წარდგენისა და მართვის სისტემა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის https://rms.reportal.ge

მიმდინარე წლის მაისში საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით ანგარიშგების წარდგენის სისტემაში დაემატა ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების, კერძოდ კი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების მიერ მიმდინარე და სხვა რელევანტური ინფორმაციის წარდგენის ფუნქციონალი, ხოლო ეროვნული ბანკის მართვის პანელს დაემატა მიმდინარე და სხვა ინფორმაციის მართვის ინსტრუმენტები.

ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით სექტემბერში შევიდა ცვლილება ნახევაწლიური ანგარიშის წარდგენის და გასაჯაროების პროგრამულ უზრუნველყოფაში.

2025 წლის პირველ ნახევარში ანგარიშგების წარდგენის სისტემას დაემატა:

- ციფრულ ფორმებში ახალი მუხლები;
- ბრძანების ელექტრონულად ხელმოწერის ფუნქციონალი სხვადასხვა უფლებამოსილი პირისათვის (დელეგირება);
- სხვა ენაზე (გარდა ქართული და ინგლისურისა) ატვირთული ანგარიშგების გასაჯაროების ფუნქციონალი;
- აუდიტორული ფირმის ანგარიშგების წარდგენის პროცესის განახლება.

სამსახურის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაგენერირდა 78 რეპორტი.

გადმოიგზავნა და გასაჯაროვდა 95400 -ზე მეტი ანგარიშგება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების რეესტრები

პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის სისტემა https://saras.gov.ge/aml/ ;

საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის სისტემა https://saras.gov.ge/amlfirms/ ;

პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრების მართვის პანელი https://saras.gov.ge/amladmin ;

პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების რეესტრი (გასაჯაროებული მონაცემები) https://saras.gov.ge/ka/Aml ;

საბუღალტრო ფირმების რეესტრი (გასაჯაროებული მონაცემები) https://saras.gov.ge/ka/AmlFirms

2025 წლის პირველ კვარტალში შეიქმნა პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების რეგისტრაციის შეჩერების ფუნქციონალის ტექნიკური დავალება.

აღნიშნული ტექნიკური დავალების მიხედვით პროგრამული უზრუნველყოფის განახლება განხორციელდა მესამე კვარტალში.
2025 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყო მუშაობა პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების მართვის პანელებში გაფრთხილებებისა და სანქციების რეგისტრაციის ფუნქციონალის ტექნიკური დავალების შექმნაზე.
ამუშავების დღიდან სისტემაში დარეგისტრირდა 542 ბუღალტერი და 499 ფირმა. მათგან რეესტრებში გასაჯაროვდა ინფორმაცია 361 ბუღალტრის და 371 ფირმის შესახებ. აქედან 2025 წელს დარეგისტრირდა 83 ბუღალტერი და 107 ფირმა, ხოლო რეესტრებში გასაჯაროვდა ინფორმაცია 44 ბუღალტრის და 42 ფირმის შესახებ.

აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეგისტრაციისა და ადმინისტრირების სისტემა
შეიქმნა:
ხარისხის რეპორტი ინდივიდუალური აუდიტორების და აუდიტორული ფირმებისთვის (ორივე რეპორტის მიღება შესაძლებელია მართვის პანელიდან);
აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების კორესპოდენციის გასაჯაროების გვერდი.
სისტემაში დარეგისტრირებულია 749 აუდიტორი და 520 აუდიტორული ფირმა. მათგან რეესტრებში გასაჯაროებულია ინფორმაცია 444 აუდიტორის და 247 აუდიტორული ფირმის შესახებ, აქედან წელს გასაჯაროვდა ინფორმაცია 12 აუდიტორის და 3 აუდიტორული ფირმის შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მომხმარებლებთან მიმოწერის სისტემა (SARAS MS) https://saras.gov.ge/ms/
სისტემის საშუალებით მომხმარებლებს შეუძლიათ ავტომატურ ან მიმოწერის რეჟიმში მიიღონ პასუხი სამსახურიდან მათთვის საინტერესო საკითხებზე. სისტემას აქვს მართვის პანელი, სადაც აისახება მომხმარებლის მიერ თემების მიხედვით დასმული კითხვები და სამსახურის თანამშრომლების მიერ გაცემული პასუხები.
2025 წლის დასაწყისიდან სისტემაში შემოსულია 5250 -ზე მეტი წერილი.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალი https://reportal.ge/
ვებგვერდს დაემატა ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების (საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების) მიერ ანგარიშგების წარდგენის სისტემაში ატვირთული მიმდინარე და სხვა ინფორმაციის ნახვის საშუალება.

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სისტემების, რეესტრების და ვებგვერდების უწყვეტ ტექნიკურ მხარდაჭერას, სისტემებში იდენტიფიცირებული ბაგების აღმოფხვრას.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი https://gedf.ge/
საქართველოს ენერგეტიკის ფონდის ვებგვერდს დაემატა საჩივრების მექანიზმის გვერდი, რომლის საშუალებითაც წარდგენილი საჩივრების მართვა ხორციელდება ვებგვერდის მართვის პანელიდან.

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ვებგვერდი და შიდა ინფორმაციის პლატფორმა
https://genex.ge/ https://umm.genex.ge/
ვებგვერდზე აღმოიფხვრა მრუდების ვიზუალიზაციის ხარვეზი.
შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე დაემატა ახალი ფუნქციონალი: 9 სიმბოლოსგან შედგენილი კოდის ავტომატურად ხაზინასთან ასოცირება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების აპლიკანტთა რეგისტრაციის და შეფასების სისტემა
https://mobility.tsu.ge https://mobility.tsu.ge/admin https://mobility.tsu.ge/eval
სისტემის ფარგლებში 2025 წლის განმავლობაში გამოცხადდა 52 საკონკურსო პროგრამა, რომლებზე ჯამურად დარეგისტრირდა 1500 -მდე აპლიკანტი. სისტემაში 2025 წელს დარეგისტრირდა 690 აპლიკანტი.
ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს აპლიკანტთა რეგისტრაციის და შეფასების სისტემის ტექნიკურ და ინფორმაციულ მხარდაჭერას.

განათლების საერთაშორისო ცენტრის სააპლიკაციო სისტემა და ვებგვერდი
https://app.iec.gov.ge/ https://app.iec.gov.ge/admin https://app.iec.gov.ge/eval https://iec.gov.ge/
ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს სააპლიკაციო სისტემის ტექნიკურ და ინფორმაციულ მხარდაჭერას კონკურსების პერიოდში.
2025 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:
სააპლიკაციო სისტემა

- აპლიკანტების რეგისტრაციის დროს პირადი ნომრის სიგრძის შემოწმების ფუნქციონალი;
- გსც-ის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით რეპორტების გენერაცია სააპლიკაციო სისტემის ძველი და მოქმედი მონაცემთა ბაზებიდან.

ვებგვერდი

- შესრულდა გსც თანამშრომლების მიერ ინიცირებული, კონტენტის ატვირთვასთან დაკავშირებული 120-მდე დავალება.

სააპლიკაციო სისტემაში შეიქმნა და ჩატარდა 13 კონკურსი, დარეგისტრირდა 1300-ზე მეტი ახალი მომხმარებელი, შეიქმნა 1900 საკონკურსო აპლიკაცია.

სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროცესების ავტომატიზაციის სისტემა (MACADPAS)

https://e.mofacademy.ge https://e.mofacademy.ge/cp

2025 წლის პირველ ნახევარში მართვის პანელში დაემატა ახალი ფუნქციონალი:

- ინტერესების გვერდზე ძებნა პირადი ნომრის, გვარის, სახელის და ელ. ფოსტის კომბინაციით;
- ინტერესების გვერდზე რეპორტში ახალი სვეტები: ინტერესის გამოხატვის თარიღი, ადმინისტრატორის კომენტარი და მონაწილეს კომენტარი;
- კურსის ინტერესების გვერდზე ახალი რეპორტი;
- მარკეტინგის მოდული.

2025 წელს სისტემაში დარეგისტრირდა 2557 ახალი მომხმარებელი და შეიქმნა 311 ჯგუფი.

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროცესების ავტომატიზაციის სისტემის ტექნიკურ მხარდაჭერას.

სსიპ ფინანსთა სამინისტროს ტესტირების სისტემა (MACADTS)

2025 წლის პირველ ნახევარში ტესტირების სისტემის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

- ტესტის შექმნის დროს კითხვაზე სწორი პასუხისთვის გაჩუმებით ქულის მინიჭება;
- ტესტის შექმნის დროს კითხვაში გამოყენებული სურათის ზომის შეცვლის საშუალება;
- ტესტში კითხვების პაკეტიდან კითხვების დამატების ბაგის გასწორება;
- ჯგუფის შექმნის გვერდზე ძებნა და სორტირება;
- ტესტირების მონაწილის მონაცემების იმპორტი აკადემიის პროცესების ავტომატიზაციის სისტემიდან;
- ტესტირების მონაწილის გვერდზე კითხვაში გამოყენებული სურათის ზომის შეცვლის საშუალება;
- ტესტირების მონაწილის გვერდზე კითხვების სიის დამატება კითხვაზე მარტივად გადასასვლელად;
- ტესტირების მონაწილის გვერდზე თითოეულ კითხვაში „არ ვარ დარწმუნებული“ ჩექბოქსის დამატება;
- ტესტირების მონაწილის გვერდზე კითხვების სიაში პასუხგაცემული, პასუხგაუცემელი და „არ ვარ დარწმუნებული“ კითხვების ფერადი ინდიკაცია;
- ტესტის შექმნის თარიღის და აღწერის დამატება;
- ტესტის აღწერის მიხედვით ძებნა;
- თარიღის ფილტრი მონაწილეების იმპორტში.

ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების ვებგვერდი https://newzone.mof.ge/ka/
შეიქმნა ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების ვებგვერდი, რომელიც განთავსდა რეალურ დომენზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი https://mof.ge/
შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი, რომელიც განთავსდა რეალურ დომენზე. განხორციელდა ძველ გვერდზე არსებული კონტენტის სრულად გადმოტანა ახალ გვერდზე.

სსიპ სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს ვებგვერდი
მიმდინარეობს მუშაობა სსიპ სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს ვებგვერდის მთავარი და შიდა გვერდების დიზაინის შექმნაზე.

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური https://fasweb.fas.ge/
შეიქმნა და რეალურ დომენზე განთავსდა სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ახალი ვებგვერდი. განხორციელდა ძველ გვერდზე არსებული კონტენტის სრულად გადმოტანა ახალ გვერდზე.

შემოსავლების სამსახურის შემოსავლების მართვის სისტემის ვებ დიზაინი და HTML მარკირება https://rms.mfg.ge/login
2025 წელს ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტში შეიქმნა შემოსავლების მართვის სისტემის 120-ზე მეტი გვერდის ვებდიზაინი, მათი ნაწილისთვის განხორციელდა HTML მარკირების სამუშაოებიც.

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი 2025 წლის განმავლობაში ახორციელებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ხაზინის, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, საგამოძიებო სამსახურის, დავების განხილვის საბჭოს და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდების ტექნიკურ მხარდაჭერას, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე დამატებით კონტენტის მართვასაც.